თბილისი 2018 წლის 6 დეკემბრის

თსუ რექტორის 2018 წლის 2 ოქტომბრის N229/01-01 ბრძანებების ("სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ასისტენტ - პროფესორების სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ"), აღსრულების მიზნით, თსუ აკადემიური საბჭოს N229/2018 2018 წლის 3 დეკემბრის N 26 სხდომის დადგენილებით - „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორების აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად საკონკურსო სააპელაციო კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" - დამტკიცებული

საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი #2.

<u>სხდომას ესწრებოდნენ</u>:

გია ლობჟანიძე (თსუ პროფესორი) - თავმჯდომარე
ქეთევან კიღურაძე-გოგილაშვილი (თსუ პროფესორი) - მოადგილე
ია კირვალიძე (თსუ ასისტენტ პროფესორი) - მდივანი
თეიმურაზ დოჭვირი (თსუ ასოცირებული პროფესორი)
მამუკა გურგენიძე (თსუ ასოცირებული პროფესორი)

<u>დღის წესრიგი:</u>

- თსუ მედიცინის ფაკულტეტზე სამედიცინო რადიოლოგიის და ენდოსკოპიის კათედრის ასისტენტ პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატის, მერაბ ბერაიას მიერ გაკეთებული მოხსენება;
- თსუ მედიცინის ყბა-სახის ქირურგიის კათედრის ასისტენტ პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატის, თამარ ნემსაძის მიერ გაკეთებული მოხსენება;
- თსუ მედიცინის ფაკულტეტზე ბავშვთა სტომატოლოგიის კათედრის ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატის, თამარ ლომიძის მიერ გაკეთებული მოხსენება;
- თსუ მედიცინის ფაკულტეტზე უროლოგიის კათედრის ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატის, ნინო გაბუნიას მიერ გაკეთებული მოხსენება.
- თსუ მედიცინის ფაკულტეტზე ორთოპედიული სტომატოლოგიის და იმპლანტოლოგიის კათედრის ასისტენტ პროფესორის აკადემიური

თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატის, ვლადიმერ ტუხაშვილის მიერ გაკეთებული მოხსენება.

<u>მოისმინეს:</u>
მედიცინის დოქტორი ვლადიმერ ტუხაშვილის, მედიცინის დოქტორი თამარ ნემსაძის, მედიცინის დოქტორი მერაბ ბერაიას, მედიცინის დოქტორი თამარ ლომიძის (skype), მედიცინის დოქტორი ნინო გაბუნიას მინი მოხსენება მათ მიერ მოპოვებული სამეცნიერო გრანტებისა და წარმოდგენილი სამეცნიერო კვლევების კონცეფციის თაობაზე.

კომისიის თავმჯდომარის, პროფესორ გია ლობჟანიძის ინიციატივით, კანდიდატებმა ასევე დეტალურად მიმოიხილეს საკუთარი პედაგოგიური გამოცდილება და ის კურსები, რომლის წაკითხვასაც ისინი სთავაზობენ მედიცინის ფაკულტეტს.

<u>აზრი გამოთქვეს:</u>

მამუკა გურგენიძემ და თეიმურაზ დოჭვირმა.

მათ აღნიშნეს რომ კარგად იცნობენ ვლადიმერ ტუხაშვილის, თამარ ნემსაძის, მერაბ ბერაიას, თამარ ლომიძის, ნინო გაბუნიას სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას და მიაჩნიათ ისინი ღირსეულ კანდიდატებად თსუ მედიცინის ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად.

მოქმედი დებულების თანახმად ჩატარდა ფარული კენჭისყრა.

<u>კენჭისყრის შედეგები:</u>

საარჩევნო ყუთის გახსნისას მასში აღმოჩნდა 25 ბიულეტენი. გაფუჭებული ბიულეტენები არ აღმოჩნდა. კომისიის ხუთივე წევრმა ხმა მისცა თსუ მედიცინის ფაკულტეტზე სამედიცინო რადიოლოგიის და ენდოსკოპიის კათედრის ასისტენტ პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მედიცინის დოქტორი მერაბ ბერაიას, თსუ მედიცინის ფაკულტეტზე ყბა-სახის ქირურგიის კათედრის ასისტენტ პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მედიცინის დოქტორი თამარ ნემსაძის, თსუ მედიცინის ფაკულტეტზე ბავშვთა სტომატოლოგიის კათედრის ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მედიცინის დოქტორი თამარ ლომიძის, თსუ მედიცინის ფაკულტეტზე უროლოგიის კათედრის ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მედიცინის დოქტორი ნინო გაბუნიას, თსუ მედიცინის

ფაკულტეტზე ორთოპედიული სტომატოლოგიისა და იმპლანტოლოგიის კათედრის ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე ვლადიმერ ტუხაშვილის არჩევას.

<u>დაადგინეს:</u>

1. დამტკიცდეს კენჭისყრის შედეგები;
2. მედიცინის დოქტორი მერაბ ბერაია არჩეულ იქნას თსუ მედიცინის ფაკულტეტის სამედიცინო რადიოლოგიის და ენდოსკოპიის კათედრის ასისტენტ პროფესორად;
3. მედიცინის დოქტორი თამარ ნემსაძე არჩეულ იქნას თსუ მედიცინის ფაკულტეტის ყბა-სახის ქირურგიის კათედრის ასისტენტ პროფესორად;
4. მედიცინის დოქტორი თამარ ლომიძე არჩეულ იქნას თსუ მედიცინის ფაკულტეტის ბავშვთა სტომატოლოგიის ასისტენტ-პროფესორად;
5. მედიცინის დოქტორი ნინო გაბუნია არჩეულ იქნას თსუ მედიცინის ფაკულტეტის უროლოგიის კათედრის ასისტენტ-პროფესორად.
6. მედიცინის დოქტორი ვლადიმერ ტუხაშვილი არჩეულ იქნას თსუ მედიცინის ფაკულტეტის ორთოპედიული სტომატოლოგიისა და იმპლანტოლოგიის კათედრის ასისტენტ-პროფესორად.

კომისიის წევრების ხელმოწერა

_____

გია ლობჟანიძე (თსუ პროფესორი) - თავმჯდომარე

_____

ქეთევან კიღურაძე-გოგილაშვილი (თსუ პროფესორი) - მოადგილე

_____

ია კივალიძე (თსუ ასისტენტ პროფესორი) - მდივანი

_____

თეიმურაზ დოჭვირი (თსუ ასოცირებული პროფესორი)

_____

მამუკა გურგენიძე (თსუ ასოცირებული პროფესორი)